ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

4100, ქ.სენაკი, შ.რუსთაველის ქ.№243
243, SH.RUSTAVELI STR., SENAKI, GEORGIA

Tel.: 0413 27660, 275016
E-mail: sakrebulo.senaki@gmail.com
Web address: www.senaki-sakrebulo.ge

განკარგულება:**გ-41. 41261483**
თარიღი:**28/05/2026**

შ.პ.ს. ,,სენაკის ბავშვთა საავადმყოფოს'' 2025 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის შეფასების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი "24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ.ა" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და ,,სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის (დებულების) დამტკიცების შესახებ'' სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 ნოემბრის №7 დადგენილების 32-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. შ.პ.ს. ,,სენაკის ბავშვთა საავადმყოფოს" 2025 წლის წარმოდგენილი ანგარიშის შესაბამისად, შეფასდეს დადებითად.
2. გამოცემული განკარგულების შესახებ ეცნობოს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას და შ.პ.ს. ,,სენაკის ბავშვთა საავადმყოფოს".
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. სენაკი, შ. რუსთაველის ქ. №247).

ჯუმბერი ტყებუჩავა

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

შპს „სენაკის ბავშვთა საავადმყოფო“-ს

2025 წლის

საქმიანობის შესახებ
ა ნ გ ა რ ი შ ი

MR - 02

საქართველო, სენაკი, რუსთაველის ქ. N112
2026 წელი

შ ე ს ა ვ ა ლ ი

2025 წელი შპს „სენაკის ბავშვთა საავადმყოფო"-სთვის მნიშვნელოვანი ეტაპი იყო. წელს, ჩვენმა საავადმყოფომ წარმატებით განაახლა – **AACI საერთაშორისო აკრედიტაცია,** რაც არის ჩვენი მაღალი პროფესიონალიზმის, ხარისხის მენეჯმენტის სისტემების სრულ შესაბამისობასა და სტანდარტების დაცვაზე მყარად დაფუძნებული შედეგი.

ამ მიმოხილვის მიზანია:

- ორგანიზაციის სამუშაო პროცესებისა და შედეგების სისტემური ანალიზი;
- ხარისხის გაუმჯობესების უწყვეტი პროცესი (CQI);
- პაციენტთა უსაფრთხოების დაცვა;
- რისკების იდენტიფიკაცია და პრევენცია;
- თანამშრომელთა პასუხისმგებლობების და მოვალეობების მკაფიო განსაზღვრა;
- მომავალი წლის სტრატეგიული მიმართულებების განსაზღვრა.

დოკუმენტების მომზადების საფუძველი

AACI საერთაშორისო აკრედიტაციის მოთხოვნა: ტოპ მენეჯმენტმა პერიოდულად უნდა მიმოიხილოს ჯანდაცვის ორგანიზაციის პოლიტიკების, მისიის, ხედვის, პროცესების და სამუშაოს შესრულების შედეგების ადეკვატურობა, შესაბამისობა და უწყვეტი ეფექტურობა სტანდარტის მოთხოვნების დაცვით.

მმართველობის მიმოხილვის შედეგები უნდა იყოს დოკუმენტირებული და უნდა მოიცავდეს გადაწყვეტილებებს და ქმედებებს.

აღნიშნული პროცესის მიზანია ხარისხის უზრუნველყოფისა და რისკზე დაფუძნებული პროცესის მეშვეობით მიღებული მაღალი ხარისხის სტანდარტების მოთხოვნა, ორგანიზაციის სტრატეგიული ხაზების განსაზღვრა, მიზნების შემუშავება, მონიტორინგის ინდიკატორის დადგენა, რისკების იდენტიფიცირება და მართვა, პაციენტის მოთხოვნის გათვალისწინება და კმაყოფილება, ადმინისტრაციული გუნდის ორგანიზაციული მომზადება, საავადმყოფოს გუნდის სპეციფიური მომზადება.

საავადმყოფოს მუშაობის გაუმჯობესება

2025 წელს შპს „სენაკის ბავშვთა საავადმყოფო"-მ განახორციელა მრავალი მნიშვნელოვანი ინიციატივა, რომელიც მიმართული იყო პაციენტთა უსაფრთხოების, კმაყოფილებისა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაზე.

ძირითადი მიმართულებები, რომლებზეც განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა:

- **პაციენტთა უსაფრთხოება:**

  საავადმყოფოში დანერგილია პროტოკოლები და პროცედურები, კონტროლდება ყველა

სამედიცინო პროცედურა და მკურნალობის მეთოდი, რათა უზრუნველვყოთ უმაღლესი ხარისხის სტანდარტების დაცვა. 2025 წლის განმავლობაში საავადმყოფომ შეიმუშავა და განახორციელა ახალი პროგრამები, რომლებიც მიზნად ისახავს პაციენტთა უსაფრთხოების და კომფორტის გაზრდას.

- **პაციენტთა კმაყოფილება:**
  პერიოდულად ჩატარებული კმაყოფილების კვლევების საფუძველზე, საავადმყოფოს პერსონალი მუდმივად აანალიზებს პაციენტთა უკუკავშირს და ახორციელებს საჭირო ოპტიმიზაციებს. 2025 წლის განმავლობაში საგრძნობლად გაიზარდა პაციენტთა კმაყოფილების მაჩვენებელი.
- **სამუშაო პროცესების ოპტიმიზაცია:**
  კიდევ უფრო მოწესრიგდა შიდა პროცესები, რაც უზრუნველყოფს საავადმყოფოს მუშაობის გაუმჯობესებას. გააქტიურებულია ელექტრონული დოკუმენტაციის სისტემა, რომელიც უწყობს ხელს ინფორმაციის დამუშავების სისწრაფესა და სიზუსტეს.

ორგანიზაციის გარე და შიდა საკითხების განსაზღვრებისთვის დაწესებულება ხელმძღვანელობს ყველაზე მიღებული მეთოდოლოგიით, (მეთოდოლოგია ასევე აღიარებულია ISO-ს მიერ) რასაც წარმოადგენს ე. წ. **SWOT-ანალიზი,** ვინაიდან იგი უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ორგანიზაციის სტრატეგიის შემუშავებაში, რადგან საშუალებას აძლევს ორგანიზაციას, შეაფასოს საკუთარი შესაძლებლობები და რესურსები, აგრეთვე განსაზღვროს მათი ეფექტური გამოყენების გზები.

„SWOT" ანალიზის დროს ორგანიზაცია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მისი მომხმარებლების და დაინტერესებული მხარეების საჭიროებების, მოთხოვნილებების და მოლოდინების შესწავლას, რაც მიღწეულ იქნა დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვითა და მათთან შეხვედრებით.

ორგანიზაციის მდგომარეობის ანალიზი

1. ორგანიზაციის მიმოხილვა

1.1. ინფრასტრუქტურის მიმოხილვა

შპს „სენაკის ბავშვთა საავადმყოფო" (ს/კ: 239866542) მდებარეობს მისამართზე: ქ. სენაკი. რუსთაველის ქ. N112. ორგანიზაციის შენობა განთავსებულია **811,6 მ²** ფართზე, მასზე წილობრივად დამაგრებულ 3002 **მ²** არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთით. შენობა ორსართულიანია, აქვს შემოსასვლელი ცენტრალური ჰოლიდან, საევაკუაციო გასასვლელი პირველი და მეორე სართულის უკანა მხრიდან. 2024 წელს სრული რემონტი ჩაუტარდა საავადმყოფოს ორივე სართულს. ამერიკის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნით, გადაუდებელი დახმარების დეპარტამენტი განთავსდა შენობის პირველ სართულზე, სადაც ასევე განთავსებულია გეგმიური ამბულატორიის დეპარტამენტი, ლაბორატორია, ექოსკოპიის კაბინეტი და ადმინისტრაცია. მეორე სართული კი მთლიანად დათმობილი აქვს სტაციონარს, რომელიც გაშლილია 20 საწოლზე. სტაციონარში არის ერთი საპროცედურო, ერთი ინტენსიური თერაპიის პალატა და ერთი ბოქსირებული პალატა ინფექციური პაციენტების დროებითი დაყოვნებისათვის.

საავადმყოფოს გააჩნია მუდმივი დენის წყარო - მაღალი სიმძლავრის გენერატორი, დამატებითი წყლის ავზები, ცენტრალური გათბობა, დიდი სიმძლავრის 3 კონდიციონერი.

1.2 მომხმარებლები

შპს „სენაკის ბავშვთა საავადმყოფო“ საქართველოში სამართლებრივად ეწევა სამედიცინო საქმიანობას: ამბულატორიულად გეგმიურ სამედიცინო მომსახურეობას უწევს 2897 ბენეფიციარს; გადაუდებელი ამბულატორიული და გადაუდებელი სტაციონარული დახმარების სამედიცინო დახმარებას უწევს, 0-18 წლამდე როგორც სენაკის, ასევე მიმდებარე რაიონებიდან შემოსულ პაციენტებს.

1.3 პერსონალი

შპს „სენაკის ბავშვთა საავადმყოფოში“-ში დასაქმებულია 75 თანამშრომელი (ექიმები, ექთნები, ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალი).

შპს „სენაკის ბავშვთა საავადმყოფო“-ს გუნდი დაკომპლექტებულია კვალიფიციური სპეციალისტებით, რომლებიც საერთო მიზნის გარშემო ერთიანდებიან, ყოველწლიურად ხდება როგორც ექიმების, ისე ექთნების კვალიფიკაციის ამაღლება. 2025 წელს ადგილზე სპეციალისტების მოწვევით ტრენინგები ჩაუტარდა ყველა სამედიცინო პერსონალს.

პროფესიონალური მომზადება არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ სამედიცინო კუთხით, არამედ ჩატარდა ტრენინგები ადმინისტრაციული პერსონალისთვისაც, რაც ხელს შეუწყობდა ეფექტურ სამუშაო პროცესებსა და პაციენტთან ურთიერთობის გაუმჯობესებას.

1.4. ძირითადი მაჩვენებლები (2025 წელი)

საავადმყოფოს აქვს გეგმიური ამბულატორიის დეპარტამენტი 3 პედიატრიული უბნით. თითოეულ უბანს ემსახურება ექიმი და ექთანი. ამბულატორიაში პაციენტებს კონსულტაციას უწევენ სპეციალისტები: ქირურგი, ოტოლარინგოლოგი, ნევროლოგი, ოფთალმოლოგი, კარდიოლოგი, ენდოკრინოლოგი, გინეკოლოგი. პოლიკლინიკაში პაციენტებს ემსახურება კარგად აღჭურვილი აცრების კაბინეტი ექიმით და ერთი ექთნით. ასაცრელი კაბინეტი აღჭურვილია სპეციალური მაცივრით და ანტიშოკური პრეპარატებით. ასაცრელი მასალის მიღება წარმოებს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრიდან.

საავადმყოფო მუშაობს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის შესაბამისად. კლინიკა აღჭურვილია კარდიო მონიტორებით, ჟანგბადის მიწოდება ხდება ცენტრალური გზით, ასევე გააჩნია ინფუზომატი, ეკგ, ელექტრონული და პორტატული ამომწოვი აპარატები, დეფიბრილატორი, ლარინგოსკოპი, ამბუ.

სტაციონარში პაციენტები ხვდებიან, როგორც ამბულატორიის ექიმების მომართვით, ისე თვითდინებით, ასევე გვაქვს მომართვიანობა მეზობელი რაიონებიდან. უზრუნველვყოფთ სტაციონარულ მკურნალობაზე მყოფი პაციენტების სამჯერად კვებას.

2025 წლის მანძილზე კლინიკას გადაუდებელი დახმარებისთვის მომართა 11723 პაციენტმა, აქედან 726 პაციენტი ჰოსპიტალიზებულ იქნა სტაციონარულ დეპარტამენტში მკურნალობისთვის შემდეგი დიაგნოზებით: J06.9 – 128; J18.0 -59; J18.9 – 256; J20.9 – 283. მათ მიერ გატარებულ საწოლდღეთა რაოდენობამ შეადგინა 3489 საწოლდღე. 37 პაციენტი რეფერირებულ იქნა სხვა სამკურნალო დაწესებულებაში.

გარდა საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამისა, გადაუდებელი დახმარება გაეწია კერძო სადაზღვევო კომპანიაში დაზღვეულ ბენეფიციარებს.

გეგმიური ამბულატორიული მომსახურების მისაღებად რეგისტრირებულია 2897 ბენეფიციარი, 2025

წელს ამბულატორიაში ექიმებთან მომართვის რაოდენობა იყო 14392 ბენეფიციარი. ავადმყოფობის გამო - 13189. ჩატარდა 1166 აცრა 975 ბავშვზე.

საავადმყოფოს გააჩნია კარგად აღჭურვილი ლაბორატორია. თითქმის ყველა სახის გამოკვლევა როგორც კლინიკური ისე ბიოქიმიური ტარდება ადგილზე 24 საათის განმავლობაში. წლის მანძილზე ჩატარდა 26855 ლაბორატორიული ანალიზი, C ჰეპატიტის სკრინინგი - 6149.

1.5. ფინანსური შედეგები

2025 წელს მიუხედავად ახალი ინვესტიციებისა და ტექნოლოგიების დანერგვისა, საავადმყოფომ შეძლო დაბალანსებული ფინანსური მართვის წყალობით სტაბილურობის შენარჩუნება.

- 2025 წელს ბავშვთა საავადმყოფოს მიერ სამედიცინო დახმარების შედეგად მიღებულმა შესრულებამ შეადგინა 1 835 566 ლარი, ხარჯი - 1 609 299 ლარი, მოგება - 226 267 ლარი. სახელფასო ფონდი შეადგენს შესრულებული სამუშაოს 64%.
- 2026 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ბავშვთა საავადმყოფოს კრედიტორული დავალიანება შეადგენს 304 562 ლარს, ხოლო დებიტორული დავალიანება - 507 477 ლარს.

გასულ წელს მნიშვნელოვანი თანხები დაიხარჯა ინფრასტრუქტურისა და სამედიცინო ტექნოლოგიების განახლებაზე, რაც გულისხმობს პაციენტთა მომსახურების ხარისხის კიდევ უფრო გაზრდას.

1.6 აღჭურვილობა:

1. პაციენტის 6 განზომილებიანი მონიტორი (4 ცალი)
2. ჰემატოლოგიური ანალიზატორი
3. ექოსკოპიის აპარატი
4. სისხლის და გაზის ანალიზატორი
5. შარდის ანალიზატორი
6. ანალიზატორი თერმო ბლოკი
7. ინკუბატორი თერმოსტატი
8. ავტოკლავი
9. ელექტროკარდიოგრაფი
10. დეფიბრილატორი
11. ბიოქიმიური ანალიზატორი
12. ჰემატო სადიაგნოსტიკო აპარატი
13. ამბუ
14. ცენტრიფუგა
15. ლარინგოსკოპი
16. საქაჩი
17. ფლოუმეტრი

ყველა აპარატს გავლილი აქვს გარე ხარისხის კონტროლი და კალიბრაცია, ამ მიზნით ხელშეკრულება გვაქვს დადებული შპს „ჰუმან დიაგნოსტიკ ჯორჯია“-სთან და შპს „მეტროლოგთან“.

1.5. კლინიკური მიმართულებები

შპს „სენაკის ბავშვთა საავადმყოფო“ პაციენტებს სთავაზობს გეგმიურ ამბულატორიულ, გადაუდებელ ამბულატორიულ, გადაუდებელ სტაციონარულ და ლაბორატორიულ სერვისებს.

N	ნებართვის/ლიცენზიის/მაღალი რისკის შემცველი სამედიცინო საქმიანობის დასახელება	ნებართვის/ლიცენზიის ნომერი და/ან მაღალი რისკის შემცველი საქმიანობის თაობაზე შეტყობინების თარიღი
1.	ლიცენზია - საქართველოს ტერიტორიაზე სამედიცინო საქმიანობის განხორციელების უფლება.	სერია ვბგ N 00140 05.07.2000 წ.
2.	სტაციონარული დაწესებულების ნებართვა	N 000870 08.08.2017 წ.
3.	ოტოლარინგოლოგია	N 004781 08.08.2017 წ.
4.	ლაბორატორიული საქმიანობა- კლინიკური დიაგნოსტიკა;	N 004783 08.08.2017 .
5.	ლაბორატორიული საქმიანობა- ბიოქიმიური დიაგნოსტიკა;	N 004784 08.08.2017 წ.
6.	რადიოლოგიური საქმიანობა - რენტგენოლოგიური დიაგნოსტიკა	N 004782 08.08.02017 წ.

2. პაციენტების მართვის ძირითადი პრინციპები

შპს „სენაკის ბავშვთა საავადმყოფო“-ს პაციენტები იყოფა სამ ნაკადად: გეგმიური ამბულატორიული, გადაუდებელი დახმარების (ემერჯენსი) და გადაუდებელი სტაციონარი. მათი დაყოფა და მართვა ხდება კლინიკის შიდა გადაწყვეტილებების საფუძველზე, რომელიც გათვალისწინებულია ექიმის მიერ და კანონმდებლობითი პროცედურების მიხედვით.

პერსონალური ინფორმაციის დაცვის მიზნით შექმნილია მომხმარებლების ბაზა და გაწერილია კონკრეტული ფუნქციები და უფლება-მოვალეობები. მონაცემები ინახება სერვერის საშუალებით და ინფორმაციის დაკარგვის საფრთხის ასაცილებლად, ფუნქციონირებს მონაცემების სარეზერვო კოპირება.

გარდა ელექტრონული სისტემისა, ორგანიზაციაში ფუნქციონირებს სამედიცინო ისტორიის წარმოებისა და შენახვის წესი ქაღალდმატარებელზე, იქ სადაც ეს განსაზღვრულია ქვეყანაში არსებული რეგულაციების გათვალისწინებით.

3. ხარისხის კონტროლი

დაწესებულებაში სისტემატიურად მიმდინარეობს ხარისხის კონტროლი, პროფესიული ეთიკის პრინციპების დაცვა და დასაქმებული ადამიანების წახალისებაზე ზრუნვა. დაწესებულება აკონტროლებს და მონიტორინგს უწევს, რომ ყველა დაინტერესებული მხარისაგან მოპოვებული ინფორმაცია, მათი მოთხოვნები და მოლოდინები შესაბამისად იყოს აღქმული და გათვალისწინებული, პერიოდულად ხდება ამ საკითხების გადახედვა და ანალიზი უმაღლესი ხელმძღვანელის მხრიდან შეხვედრების და თათბირების მეშვეობით.

როგორც ექიმები, ასევე ადმინისტრაციული თანამშრომლები მჭიდრო ურთიერთობას ინარჩუნებენ პაციენტებთან, რადგან მიზანი არის მათი კმაყოფილების გაზრდა, მიწოდება სრული და სანდო ინფორმაციის.

შპს „სენაკის ბავშვთა საავადმყოფო" მიზნად ისახავს ხარისხის მენეჯმენტის სისტემის ეფექტურობის გაუმჯობესებას ხარისხის მართვის ადმინისტრაციული და კლინიკური პარამეტრების კონტროლით:

ა) პაციენტის კმაყოფილების ანალიზი;

ბ) თანამშრომელთა ადმინისტრაციული შეცდომების რაოდენობის შემცირება;

ბ) წარმატებული სამედიცინო მომსახურების რაოდენობა;

გ) ლაბორატორიის ხარისხის მაჩვენებლები და სხვა.

4. შრომის შინაგანაწესი და სხვა ორგანიზაციული დოკუმენტაცია

საავადმყოფოში დანერგილია „შინაგანაწესი", რომელიც წარმოადგენს ორგანიზაციის მიერ შემუშავებულ კორპორატიულ სტანდარტთა და თანამშრომელთა ქცევის კოდექსთა ერთობლიობას. შინაგანაწესის ბოლო განახლება განხორციელდა 2024 წლის 3 იანვარს, რომელიც შემუშავებულია საქართველოს შრომის კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად, ადგენს თანამშრომელთა ქცევისა და ურთიერთობის ძირითად ნორმებს და წარმოადგენს კომპანიის საერთო კორპორატიული პოლიტიკის ნაწილს.

დაწესებულების შინაგანაწესში განსაზღვრულია თანამშრომელთა ძირითადი უფლება-მოვალეობები და ქცევის წესები, ორგანიზაციის ეთიკის კოდექსი, სამსახურში მიღებისა და გათავისუფლების, ასევე თანამშრომელთა წახალისებისა და დისციპლინარული სასჯელის წესი.

ორგანიზაციაში მომუშავე ყველა თანამშრომელი იზიარებს და იცავს კომპანიის შინაგანაწესს, რასაც ადასტურებენ ხელმოწერით. ორგანიზაცია დასაქმების თანაბარ შესაძლებლობებს სთავაზობს ყველა თანამშრომელს და დასაქმების კანდიდატს განურჩევლად რასის, კანის ფერის, რელიგიის, სქესის, ეროვნების, ასაკის, და სხვა ფაქტორებისა. ეს პოლიტიკა ძალაშია დასაქმების ყველა პირობის შემთხვევაში, მათ შორის: დაქირავების, დაწინაურების, ხელშეკრულების გაფორმების, კომპენსაციის, ტრენინგის და სხვა შრომით სამართლებრივი მოქმედებების შემთხვევაში. ყოველი თანამშრომლის დამოკიდებულება უნდა ემყარებოდეს ეთიკისა და თავაზიანობის საყოველთაოდ მიღებულ ნორმებს. თითოეულ თანამშრომელს აქვს უფლება, ჰქონდეს სამუშაო გარემო, სადაც იგი არ განიცდის შევიწროებას ან მტრულ დამოკიდებულებას.

5. ნარჩენების მართვა და ინფექციის კონტროლი

დაწესებულებაში ნარჩენების მართვის პროცედურასთან დაკავშირებით ორგანიზაციას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს „ეკომედთან". აღნიშნული მომსახურება სრულდება საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსის საფუძველზე და მისი შინაარსი შეესაბამება - „კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის განხილვისა და შეთანხმების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანებით №211 და „სამედიცინო ნარჩენებისმართვა" საქართველოს მთავრობის №294 დადგენილებით - განსაზღვრულ მოთხოვნებს.

6. სტანდარტული ოპერატიული პროცედურები (SOP)

ორგანიზაციაში შემუშავებულია „სტანდარტული ოპერაციული პროცედურები", როგორც ამბულატორიული, ასევე სტაციონარული და ლაბორატორიული პროცესების მართვის მიმართულებით.

7. SWOT ანალიზი

SWOT ანალიზის საფუძველზე ორგანიზაციის მიერ განისაზღვრა შემდეგი:

საავადმყოფოს ძლიერი მხარეები:

კვალიფიციური პერსონალი: გამოცდილი ექიმები და სამედიცინო პერსონალი.
ხარისხიანი მომსახურება: ტექნოლოგიების გამოყენება და მკურნალობის სტანდარტების დაცვა.
მაღალი რეპუტაცია.
კონსილიუმის წესით პაციენტთა მკურნალობა და მართვა.
მუდმივი გაუმჯობესებისადმი პროცესუალური მიდგომა-ინოვაცია.
სამედიცინო სერვისების ხელმისაწვდომობა.
უწყვეტი სამედიცინო განათლება.
ხარისხის სისტემის მონიტორინგი.
ლაბორატორიის გარე ხარისხის კონტროლი.
პაციენტთა განმეორებითი მომართვიანობის მაღალი მაჩვენებელი
გუნდურობა, პაციენტზე ორიენტირებული პერსონალი და გარემო.
კონკურენტუნარიანობა.
პარტნიორებთან/დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობის მაღალი კულტურა.
სადაზღვევო კომპანიებთან სტაბილური ურთიერთთანამშრომლობა.
სახელმწიფო პროგრამებში ჩართულობა.

სუსტი მხარეები:

- ინფრასტრუქტურული დეფიციტი/დაკავებული ფართის არასაკმარისი მოცულობა;
- საერთო ეკონომიკური მდგომარეობა;

შესაძლებლობები:

- ახალი მომსახურებების შემოღება: ახალი სპეციალობების ან ტექნოლოგიების შემოღება.
- მომსახურების ხარისხის მეტად გაუმჯობესება
- კადრების კვალიფიკაციის მუდმივი ამაღლება/თანამედროვე მეთოდების შესწავლა(ტრენინგები);
- საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა;
- კონკურენტუნარიანი ფასის და სერვისის შენარჩუნება
- მომხმარებელთა ნაკადის მოზიდვა

საფრთხეები:

- ძლიერი კონკურენცია: ბაზარზე დიდი რაოდენობით კონკურენტების ზრდა, რაც ფასების დაჯგუფებისა და მომხმარებლების დაკარგვის რისკს ზრდის.
- რეგულაციების ცვლილება: ჯანმრთელობის პოლიტიკის ცვლილებები, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს სამსახურის წარმოებაზე.
- ბუნებრივი მოვლენები: პანდემიური სიტუაციები, ადამიანის ჯანმრთელობის პრობლემები, რაც ვალდებულებები და მომსახურების კატეგორიები შეამცირებს.
- სადაზღვევო კომპანიების კუთვნილი კლინიკების რაოდენობრივი ზრდა;
- პაციენტის უკმაყოფილება/დაკარგვა;
- კადრების გადინება;

8. ორგანიზაციის სამომავლო გეგმები

შპს „სენაკის ბავშვთა საავადმყოფო“ არის მზარდი ორგანიზაცია, რომლის საქმიანობის არეალი და მომსახურების მასშტაბი მნიშვნელოვნად გაიზარდა ბოლო წლების განმავლობაში. საავადმყოფოს სამომავლო გეგმები უკავშირდება როგორც ახალი მიმართულებების დანერგვას, ასევე, არსებული სერვისების შენარჩუნებას, ხარისხობრივ გაუმჯობესებას და მუდმივად განახლებად ეროვნულ და საერთაშორისო რეგულაციებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას.

<u>2026 წლის მიზნები</u>

- ბიზნესის პროცესების გაფართოება შემოსავლების ზრდის მიზნით;
- მომსახურების ხარისხის ამაღლება;
- პაციენტთა კმაყოფილების სისტემური მონიტორინგი;
- ტექნიკურ - მატერიალური ბაზის განახლება;
- კონკურენტუნარიანობის ამაღლება;
- პოლიკლინიკის ცნობადობის გაზრდა;
- მარკეტინგული აქტივობის გაზრდა.

დ ა ს კ ვ ნ ა

2025 წელი იყო შპს „სენაკის ბავშვთა საავადმყოფო“-სთვის პროგრესისა და განვითარების წელი. **AACI საერთაშორისო აკრედიტაცია** ადასტურებს ჩვენს მაღალ ხარისხს, სანდოობას და პაციენტთა უსაფრთხოების პრიორიტეტს. მომავალ წელს, ჩვენ ვაპირებთ კიდევ უფრო განვავითაროთ ჩვენი საქმიანობა, დავნერგოთ ახალი პროცედურები და სტანდარტები, რაც უზრუნველყოფს ხარისხის უწყვეტ გაუმჯობესებას და პაციენტთა კმაყოფილების ზრდას.

შპს „სენაკის ბავშვთა საავადმყოფო“-ს

დირექტორი: ლუარსა დგებუაძე

.....

06.05.2026 წ.